


# საღვთობა ვერეული

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საბჭოთა  
20  
სექტემბერი  
№102 (11588)  
1990

1921 წლის  
ნოემბერი

საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური გაზეთი



ЧЕКИСТМ МОЖЕТ БЫТЬ ЛИШЬ ЧЕЛОВЕК С ХОЛОДНОЙ ГОЛОВОЙ, ГОРЯЧИМ СЕРДЦЕМ И ЧИСТЫМИ РУКАМИ  
Ф. Э. ДЗЕРЖИНСКИЙ

ეროვნული  
ბიბლიოთეკა









### საპარტიკლო... დახარჯვისათვის

16 სექტემბერს თბილისის ავტობორტში სპეციალური რეისით ამერიკის შეერთებული შტატებიდან ბონი დაფრინდა, რომლის მგზავრები ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ბრაუნზ მილიზის „დებორას“ გულისა და ფილტვის ქირურგიის ცენტრის უქიმთა ბრიგადა იყო. მათი მიზანია, საქველმოქმედო მისიით, ოპერაციები გაუკეთონ გულის თანდაყოლილი მანკებით დაავადებულ ბავშვებს. თბილისის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში უკვე შერჩეულია პაციენტები. ამერიკელი ექიმები სწავლობენ მათ მდგომარეობას. ექიმებს თან ახლავთ ინჟინრები, რომლებმაც უნდა გამართონ სპეციალური აპარატურა და საოპერაციო ტექნიკური მოწყობილობა. პირველი ოპერაციები დაიწყება 24 სექტემბერს. აღნიშნული ღონისძიება ხორციელდება საერთაშორისო პროგრამა „მსოფლიოს ბავშვების“ ფარგლებში და საქართველოში მისი განხორციელების ინიციატორია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. რეპორტაჟს ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოდან შემოგთავაზებთ პირველი ოპერაციების ჩატარებისთანავე.

ნიკო ახალაძე

### ქველმოქმედება

წყალტუბოს „ინტურისტის“ ავტობუსი რამდენიმე დღე იდგა უპატრონოდ თბილისში... მძღოლი ცოცხალი ვეღარ იპოვეს... იმ სადღისწეროდ ღღეს საბავირო გზაზე ყოფილა... მერე მისმა შვილემ კახა და ნინო დანაშაულებმა გავეთ „სახალხო განათლებას“ მისერეს თავისი გასაქირი: რომ ეგდა უმუშევარი, რომ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ, რომ...  
სანამ ბავშვების წერილი გამოქვეყნდებოდა, „ახალგაზრდა ივერიელის“ სახელზე ბათუმიდან ლეპეშა და 500 მანეთი მოვიდა. ეს თანხა უნდა გადაგვეცა საბავირო გზაზე დაღუპულის ოჯახისათვის...


ცოტა ხნის წინ ჩვენი თხოვნით რედაქციაში მოვიდა ნინო და კახა დანაშაულების ბიძა ზურაბ გაბოქიძე...  
სამწუხაროდ, ბათუმელი გორგი და რევაზ გოგოლაძეების ზუსტი მისამართი ვერ მივეციტ ბატონ ზურაბს, რომელსაც პირადად უნდოდა მათი ნახვა... ალბათ, მაღლობის სათქმელად არც გამოუგზავნიათ ეს 500 მანეთი. პატარა ნინო და კახა კი კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან, რომ ყველანი ღვთის შვილები ვართ, რომ მამიკოს დათესილი სიკეთის ნაყოფია ეს ზრუნვა და რომ დედამწა სიბოთი და სიყვარულით არსებობს.

საკუთარი ინფორმაცია

### თბილისის მოსწავლეთა საკრავლოს წევრთა საყურადღებოდ

ქ. თბილისის მოსწავლეთა საკრებულო ახალი სასწავლო წლიდან კვლავ განაახლებს შეხვედრებს. პირველი შეკრება შედგება ა/წ 22 სექტემბერს, შაბათს 15-00 საათზე, მისწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის შენობაში (დ. აღმაშენებლის 176); საკრებულოს წევრების გარდა დასწრება შეუძლია სტრუქტურისამებრ ყველა სკოლიდან ორ-ორ წარმომადგენელს უფროსი კლასებიდან.

ბია ანდლუაძე



## GUINNESS BOOK OF RECORDS

THIS IS TO CERTIFY THAT

ВЕПХИЯ СЕИРАНОВИЧ СУЛУАШВИЛИ

ЗАНЕСЕН В КНИГУ РЕКОРДОВ ГИНЕССА

(СОВЕТСКОЕ ИЗДАНИЕ) КАК РЕКОРДСМЕН

СЛИВНУВШИЙ И ПРОТАЩИВШИЙ ДЕРЕЖА ТРОС

ЗУБАМИ АВТОМОБИЛИ ГАЗ-53(5 ТОНН),

ДЖИП-РОВЕР(1,5 ТОННЫ), УАЗ(1,5 ТОННЫ)

DONALD McFARLAN      NORRIS McWHIRTER

*Donald McFarlan      Norris McWhirter*

THIS CERTIFICATE DOES NOT NECESSARILY DENOTE AN ENTRY INTO THE GUINNESS BOOK OF RECORDS



## განახადიდან... რეკორდებზე

შეიძლება გახსოვთ, წელს „ახალგაზრდა ივერიელის“ 5 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა მასალა „განახადი გინესის რეკორდების წიგნისათვის“ თუ...  
წერილში საუბარი იყო თბილისელ ყმაწვილზე, 16 წლის ვეფხია სულუაშვილზე, რომელმაც ფოლადის ტროსი გამოაბა და კბილებით გასწია „რაფის“ ტიპის მანქანა, შემდეგ რამდენიმე ათეულ მეტრზე გაათრია „გაზ-51“ მარკის სატვირთო მანქანა, რომლის ძარაზეც 14 კაცი იყო. ეს მოხდა მეტროსადგურ „სამგორთან“ ამა წლის 23 მაისს (სიუჟეტი 29 მაისს გადაიტა პროგრამაში „ნაშუადღევს“).  
ცხადი იყო, რომ საქმე გვექონდა უჩვეულო ფენომენთან, რომელიც გარკვეულ გამოკვლევას, მხარდაჭერასა და დახმარებას საჭიროებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონ ჯუმბერ ლეჟავას — ასევე საინტერესო რეკორდსმენის დახმარებით ვაგივეთ მოსკოვში, გამომცემლობა „პროგრესის“ რედაქტორის იგორ ზაიცევის კოორდინატები. ზაიცევი ამავე დროს „გინესის რეკორდების“ საბჭოთა წიგნის რედაქტორად მუშაობს. ვეფხია და მისი მშობლები ბატონი ტრისტანი და ქალბატონი ვალია დაუკავშირდნენ იგორ ზაიცევს. მალე მოხერხდა ექსპერიმენტის ჩატარებაც.  
მოსკოვში, „ან“-ის სააგენტოში ვეფხიას შესთავაზეს გაეწია „ზილის“ მარკის ძველი სატვირთო მანქანა. ვეფხიამ სცადა, მაგრამ... ამოდ. თურმე ნუ იტყვიან და, მანქანა არ მუშაობდა. რამდენიმე წლის განმავლობაში საერთოდ უძრავად იდგა აქ. შემდეგ ვეფხია იქვე შორიხლოს მდგარ

„ჯიპის“ შეაქიდეს, ქართველმა ჰაბუკმა „გამოცდა ჩაბარა“. ბოლოს გადაწყვიტეს, კიდევ ერთი ექსპერიმენტის ჩატარება. საქმეში სახელმწიფო ავტოინსპექცია ჩაერთო და სადოვარია კალკოზე ვეფხიას „უაზიკი“ გამოუძებნეს. რა თქმა უნდა, ვეფხიამ სავსებით იოლად და დაუძაბავად ჩააბარა ეს გამოცდაც...  
„გინესის რეკორდების“ საბჭოთა წიგნის რედაქციამ ოპერატიულად შეაფასა ვეფხია სულუაშვილის ფენომენი და სრულიად დამსახურებულად შეიტანა იგი „გინესის რეკორდების“ წიგნის საბჭოთა გამოცემაში, რომელიც 1991 წელს უნდა გამოვიდეს.  
ვეფხიას მიღწევას ფართოდ გამოეხმაურა საკავშირო და მოსკოვის საქალაქო სპორტული პრესა.  
მოკლედ, რალაცნაირად წინასწარმეტყველური გამოდგა ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული მასალა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, და ეს სამწუხაროა, რომ საკავშირო ორგანოები, მოსკოველი სპეციალისტები უფრო ინტენსიურად ინტერესდებიან, ვიდრე ჩვენთან, საქართველოში.  
დაბეჯითებით შეიძლება, ითქვას. —  
ვეფხია სულუაშვილი მეტად საინტერესო ფენომენია და მას მეტი, გაცილებით მეტი ყურადღება სჭირდება.

ზილა ზოთაძე

სურათებზე: ფრანგენტიები თბილისსა და მოსკოვში ჩატარებული ექსპერიმენტებიდან.



## სასწავლო კოორპირაცია

### „განათლება“

აგრძელებს საშუალო სკოლის მოსწავლეთა და აბიტურიენტთა მიღებას. მსურველებს შეუძლიათ მოეზადონ ნებისმიერ საგანში, რომელიც ბარდება მისაღებ გამოცდებზე ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებელში. მეცადინეობას უძღვებიან უმაღლესი სასწავლებლებიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები. სწავლა ქართულ

და რუსულ ენებზეა. მეცადინეობა ტარდება მცირერიცხოვან ჯგუფებში. გამოცდების პერიოდში აბიტურიენტებს უტარდებათ დამატებითი კონსულტაციები. საჭირო შემთხვევაში კოორპირაციე დაიცავს აბიტურიენტთა ინტერესებს საბრეტუნო კომისიასთან.

კოორპირაციე გახსნილია უცხო ენების შემსწავლელი (ინგლისური,

ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური, არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული, ბერძნული) ჯგუფები. სწავლა სამეურნეო ანგარიშზეა. თანხის გადახდა ხდება როგორც ორგანიზაციის დაფინანსებით, ასევე ინდივიდუალური გზით. განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 18-დან 21 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 138, რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის შენობა.

ქ. თბილისი, მე-10 საშუალო სკოლა, ოქტომბრის ქ. № 189.

**კუმანიტარული** ასოციაცია „კუმანიტარული“ სათნოების ორდენი შეასხენებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს, მონაწილეობა მიიღოს კუმანიტარულ მოძრაობაში „კვირაში ერთი დღე მოყვასს“ და ეს დღე თავის ყველაზე გაჭირვებულ თანამომემს დაუთმოს, რომ ორდენის წევრები ტრადიციულად შეიკრიბები-

## გალით ქაშუთთან!

ბიან ქაშუეთის ტაძრის ეზოში შებათს, 22 სექტემბერს, 11 საათისათვის.

ყველაზე უქონელი თბილისელებისათვის სამყოფი პროდუქტების შექმნა ამ დღეს თბილისის მუნიციპალიტეტის ქარხნის კომპლექტებში ითვება.

**სათნოების ორდენი** (კუმანიტარული ასოციაცია „კუმანიტარული“)



## მეტყველ რაგბისტების ნარმატება

მოსკოვში დამთავრდა ვეტერან მორაგბეთა მეორე საკავშირო ტურნირი. საქართველოს ნაკ-

რებმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო მეცნიერებთა დოქტორებით, საწარმოთა დირექტორ-

ებით, ექიმებითა და პედაგოგებით, წარმატებით ჩაატარა შეხვედრები და ზედინდელ მეთოდულ დაეხმარა ბროლის თასს. საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა რუსეთის (10:0), უკრაინისა (24:6) და მოსკოვის (6:0) ნაკრები გუნდები, ხოლო შეხვედრა ლენინგრადის ნაკრებთან ფრედ — 0:0 დამთავრა. როგორც თავიანთ საუკეთესო წლებში, კვლავ შეუდარებელ ფორმაში იყვნენ საქართველოს ვეტერან რაგბისტთა წევრები: დ. კილასონია, დ. კავთელაშვილი, გ. ავლასტიმოვი, ა. ლიბრაძე, გ. სუთიაშვილი, გ. შვანიტაძე და სხვები.

გუნდის წარმატებაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ნ. ყიფიანმა.

**დ. თაყაიაიშვილი**

**სურათზე:** მოსკოვისა და საქართველოს ნაკრების შეხვედრის ეპიზოდი.

## მოკლედ

ტოკიოში მუშაობა დამთავრდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მორიგემა, 96-ე სესიამ, რომელშიც დაამტკიცა, რომ ზაფხულის 1996 წლის ოლიმპიური თამაშები გაიმართება ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ატლანტაში.

წარუმატებლად აიღო სტარტი ხელბურთულ ვეჯთა საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „ქარიშხალმა“. მათ ზედინდელ ოთხ შეხვედრაში განიცადეს მარცხი — ასტრახანის „დინამოსთან“ (15:26), ზაპოროჟიის ზიი-სთან (21:33), მოსკოვის ცსკა-სთან (20:33) და მოსკოვის „ქუნიცევოსთან“ (22:23).

## შეხვედრის განხორციელება

ა. შ. 11 სექტემბრის „ახალგაზრდა ივრეილი“ გამომქვეყნებულ მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა მემორანდუმის ტექსტში დაშვებულია შეცდომა. ნაცვლად წინადადებისა — არსებობს უზენაესი საბჭოს პრეზიდი-

უმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე (თბილისი, 1990 წ. 4 სექტემბერი) უნდა იყოს „...არსებობს საქართველოს უზენაესი საბჭოში არჩევნების შესახებ კანონი (თბილისი, 1990 წ. 18 აპრილი, მუხლი 14)“... შემდგომ, როგორც ტექსტში.

**მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციები**

## თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სასწავლო ცენტრის ინსტიტუტი აცხადებს 1990 წელს ასპირანტურაში მიღებას უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაში:

წარმოებისაგან მოუწყვტლივ: რომელიც ენები: ფრანგული ენა — 1 ადგილი გერმანიული ენები: ინგლისური ენა — 1 ადგილი (მიწოდებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის). წარმოებისაგან მოუწყვტლივ: გერმანიული ენები: ინგლისური ენა — 1 ადგილი გერმანიული ენა — 1 ადგილი.

ქტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. კანდიდატის ავტობიოგრაფია პირადი ფურცელი ფოტოსურათით; 2. ავტობიოგრაფია; 3. დახასიათება-რეკომენდაცია უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან; წარმომადგენელი კურსდამთავრებული-სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია; 4. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების გამოგონებებისა და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი საქმეთა ანგარიშების სია.

განცხადებები ასპირანტურაში მიღების შესახებ შემოიტანება რე-

## გაგული, მნა, სარწმუნოება



## ხვალ შობაა ღვთისმშობლისა...

ხვალ, 21 სექტემბერს შობაა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. ხვალ ღვთისმშობლობაა!

ქართველი ერი ამ დღეს აღნიშნავს თავის ტრადიციულ საეკლესიო დღესასწაულს — დიდუბობასა და გელთობას.

...20 საუკუნის წინათ იუდეაში იშვა მარიამი („განმანათლებელი“). მისი მშობლები სივეითთა და სიწმინდით გამოირჩეული ადამიანები იყვნენ და როდესაც მარიამი სამი წლისა შესრულდა, იგი იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს და ლევიმის ტაძარში მისი აღმზრდელი იყო 14 წლამდე.

როდესაც მარიამი 14 წლისა შესრულდა, მის გათხოვებაზე ზრუნვა მოძღვრებმა ითავეს, მაგრამ ვინაიდან მას გაუთხოვრობის აღთქმა ჰქონდა დადებული, იგი დაწინდეს 80 წლის მოხუცებულზე — იოსებზე, რომელიც მეორე მშობლად მოეგვინა მარიამს.

ამრიგად აღსრულდა ღვთის განცემა, რომ ყოვლადწმიდა ქალ-

წულს ეშვა ძე უფლისა იესო ქრისტე. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. აქ ინახება ქრისტეს კვართი — ღვთისმშობლის ხელით მოქსთვილი. იგი მფარველობს ჩვენს ერს. ამიტომაცაა საქართველოში მის სახელზე აგებული ამდენი ტაძარი და მონასტერი, მისი სახელობის ამდენი საეკლესიო დღესასწაული. ქართველები, როგორც ღვთისმშობლისა, ისე ქრისტიანები, აღნიშნავენ ღვთისმშობლის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან თარიღს.

ღვთისმშობლის შობა დიდი ზემოა ღვთისმშობლის ქრისტიანთათვის, რადგანაც „ვითარცა იგი ხურომან პოვოს ნივთი, უსანბარისად და უმჯობესად ქურჭლისად შექმნას იგი, ეგრეთც ქრისტემან პოვა ქალწულისა მის სული და გვამი წმინდა სულიერი თავისა შექმნა მისგან ტაძარი, ვითარცა უნდა მას, დაჰბადა კაცი ქალწულსა მის შინა, შემოსა იგი და დღეს გამოვიდა“.

ღვთისმშობელი კურთხეულ არს დედათა შორის!

იმ პირებმა, რომლებსაც არა აქვთ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, უნდა წარმოადგინონ რეფერატი არჩეული სპეციალობის მიხედვით;

5. დიპლომის ასლი; ამონაწერი საგამოცდო უწყისებიდან;

6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;

7. ასპირანტურაში შემსუვლები პასპორტის წარმოდგენის პირადი. შემსუვლები აბარებენ საკონკურსო გამოცდებს სპეციალობაში, ფილოსოფიაში, ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადებები მიიღება 20 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე, მისაღები გამოცდები ჩატარდება 25 ოქტომბრიდან 25 ნოემბრამდე.

ამ გვერდზე გამოქვეყნებული მახალების სპონსორი გადარიცხება სოფ. ჰუჩახის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „აღმოსავლეთის“ ანგარიშზე 100700808 მთაწმინდის რაიონის ბანკოცანკში.

**სალომარია ქვერული**  
Обществено-политическая молодежная газета  
«Ахалгазრა ივერელი»

ტელეფონები: მახალება — 98-97-21;  
პანუსხმეგეტა მდვიანი — 98-21-58;  
წერილებს განყოფილება — 98-99-49.

საქართველოს კ. ც. ს. სტამბა 380008, თბილისი-26, გ. კობახიას ქ. № 14, იბეჭდება ორშაბათს, კუთხაბათს, შაბათს.  
საქართველოს კ. ც. ს. სტამბა 380008, თბილისი-26, გ. კობახიას ქ. № 14, იბეჭდება 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. Наш индекс 68400 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, უე 00916

**გაზეთი გაზეთის კვირაში საგაზეთო საშუაებათს, კუთხაბათს, შაბათს.**  
რედაქციაში შემოსული მახალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

**რედაქტორი ვერა ბალარაძე**

რედაქციის მისამართი ქ. თბილისი — 380008  
გ. კობახიას ქ. № 14.